**შ.პ.ს. “ წისქვილი ”**

ვამტკიცებ

შ.პ.ს. “წისქვილი” დირექტორი

ზ. ბაქრაძე

# საექსპერტო დასკვნა

## ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობისა და მომიჯნავე შენობებზე გავლენის შესახებ

თბილისი 2018 წ

# შ ე ს ა ვ ა ლ ი

საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მოწყობის კონსტრუქციულ ნაწილზე

.

.

## გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ.თბილისი ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მოწყობის პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ.თბილისი, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ.თბილისი, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მოწყობის მზიდი კონსტრუქციების სივრცითი გაანგარიშების შედეგები;
4. ქ.თბილისი, ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წიწქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. შპს “თბილინვესტპროექტი”.

# გ ა მ ო კ ვ ლ ე ვ ა

რესტორან წისქვილის ძირითადი შენობა ნაგებობების მშენებლობა განხორციელდა 2002 წელს.

იმის გამო, რომ საპროექტო ტერიტორია, მდ. მტკვრის მხარეს იყო ძლიერ დამრეცი, რის გამოც ხშირად ხდებოდა არსებული კოლექტორის თავზე განთავსებული ნაყარი გრუნტის ჩამოშლა, საჭირო გახდა მცოცავი გრუნტის შესაჩერებლად შესაბამისი კონსტრუქციების მოწყობა, კერძოდ, არსებულ კოლექტორზე გადაჯდენით განხორციელდა რკინაბეტონის 8-13 მ სიგრძის ხიმინჯების ძირითად ქანებში ჩაანკერება. ხიმინჯების თავზე მოეწყო რკინაბეტონის მონოლითური რიგელები, რომელზეც შემდგომ მოეწყო ასევე მონოლითური რკინაბეტონის ფილა, რომელიც ფაქტიურად ხიდის ფუნქციას ასრულებს და ერთმანეთთან აკავშირებს კოლექტორის მარჯვენა და მარცხენა მხარეს არსებულ ტერიტორიებს. ხიმინჯების თავზე, გრუნტის მხარეს მოწყობილია საყრდენი კედელი ნაყარი გრუნტის ჩამოშლის შესაჩერებლად. აღნიშნული კონსტრუქციები არ ეხება არსებულ კოლექტორს.

ვიზუალურად რკინაბეტონის ხიმინჯებში, რიგელებში, გადახურვის ფილასა და საყრდენ კედელში დეფორმაციები ან სხვა სახის დეფექტები არ შეინიშნება და მისი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ზემოთ აღნიშნული ხიდის ტიპის კონსტრუქციის პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “სტუდიო 9”-ს მიერ, დირექტორი ა. ჩხაიძე, პროექტის მთ. არქიტიტექტორი მ. ჩხაიძე, კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე

პროექტი შესრულებულია საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 85 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთაღნიშნული ხიდის ტიპის კონსტრუქცია ხიმინჯების საშუალებით დაფუძნებულია ძირითად ქანებზე, დატვირთვები გადაეცემა უშუალოლოდ კლდოვან ქანებზე და აღნიშნული კონსტრუქცია არ იქონიებს უარყოფით გავლენას როგორც კოლექტორზე, ისე მიმდებარე ნაგებობებზე რომელიც მოშორებით (მიახლოებით 10 მეტრი) არიან განთავსებული.

# დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ.№94, რესტორანი წისქვილი (ს.კ. 01.13.02.008.119) არსებულ კოლექტორზე ხიდის ტიპის კონსტრუქციის მოწყობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად, თვით კოლექტორზე გადაჯდენით შესრულებული ხიდის ტიპის კონსტრუქციის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და იგი არ იქონიებს უარყოფით გავლენას როგორც კოლექტორზე ისე მის მომიჯნავე ნაგებობებზე.

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი თ. გეგეჭკორი
T: 555-41-95-08
ელფოსტა: tamazgegeckori@mail.ru